კიბერდანაშაული

მასწავლებლის წიგნი

სარჩევი

სასწავლო მიზნები 2

აქტივობა 1. 2

აქტივობა 2. 3

აქტივობა 3. 3

აქტივობა 4. 4

აქტივობა 5. 5

აქტივობა 6. 5

აქტივობა 7. 7

დავალება 1. უპასუხეთ კითხვებს: 7

კითხვებზე პასუხის შეფასების რუბრიკა 7

დავალება 2. ორმაგი ჩანაწერების დღიური *(იხ. დანართი 3)* 8

ორმაგი ჩანაწერების დღიურის შეფასების რუბრიკა 8

დავალება 3. ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება *(იხ. დანართი 4)* 9

ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულების შეფასების რუბრიკა 9

დანართები 10

დანართი 1. 10

დანართი 2. 11

შემთხვევა N1 11

შემთხვევა N2 11

შემთხვევა N3 12

შემთხვევა N4 14

კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ სფეროს/როგორ ისჯება კიბერდამნაშავე 15

დანართი 3. 20

ორმაგი ჩანაწერების დღიური 20

დანართი 4. 24

ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება 24

სასწავლო მიზნები

მოსწავლე შეძლებს:

- ერთმანეთისგან განასხვაოს კიბერდანაშაული და კიბერმეთოდებით ჩადენილი დანაშაული შემთხვევების განხილვის გზით;
- ჩამოთვალოს, ერთმანეთისგან განასხვაოს და იმსჯელოს საქართველოში გავრცელებული კიბერდანაშაულისა და იმ საფრთხეების შესახებ, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს კიბერდანაშაულის მსხვერპლი;
- ჩამოთვალოს და იმსჯელოს კიბერდანაშაულის თავიდან არიდების გზების შესახებ;
- განსახილველ შემთხვევებთან მიმართებით გააანალიზოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც არეგულირებს კიბერდანაშაულს;
- მიიღოს ინფორმაცია იმ სახელმწიფო უწყებების შესახებ, რომლებიც ჩართულნი არიან კიბერდანაშაულის გამოძიების პროცესში;
- მიიღოს ინფორმაცია კიბერდანაშაულის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების შესახებ.

რესურსები: პროექტორი, სახელმძღვანელო, ფლიპჩარტის ქაღალდი, მარკერები, თაბახის ფურცლები.

საჭირო დრო: 1 საათი.

მსვლელობა

აქტივობა 1.

გაკვეთილის მიზნების გაცნობა და კიბერდანაშაულის განმარტება
დრო: 5 წთ.

მასწავლებელი/პოლიციელი მოკლედ მიმოიხილავს გაკვეთილის თემას და აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნებს.

მასწავლებელი მოსწავლეებს მოკლედ განუმარტავს კიბერდანაშაულსა და კიბერმეთოდებით ჩადენილ დანაშაულს შორის არსებულ განსხვავებას (იხ. მოსწავლის წიგნი, გვ. 5).

შენიშვნა: აღნიშნულის მოკლედ განმარტება მნიშვნელოვანია, რათა შესაძლებელი იყოს მონაწილეთა წინარე ცოდნის ობიექტურად განსაზღვრა.

აქტივობა 2.

მოსწავლეთა წინარე ცოდნის შეფასება
დრო: 5 წთ.

მოსწავლეებს ეძლევათ 5 წთ. ინდივიდუალური სამუშაოსათვის.
მათ უნდა შეავსონ გრაფიკული ორგანიზატორი (იხ. დანართი 1) და განმარტონ:

1. რა ტიპის კიბერდანაშაულია გავრცელებული დღეისათვის საქართველოში, ანუ რა ხერხებს მიმართავენ კიბერდანაშაულის ჩადენისათვის (გავრცელებული კიბერდანაშაული)?
2. რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს კიბერდანაშაულის მსხვერპლი (კიბერდანაშაულით გამოწვეული საფრთხეები)?
3. რა გზები არსებობს კიბერდანაშაულის თავიდან ასარიდებლად? (კიბერდანაშაულის თავიდან არიდების გზები)?

მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები მასწავლებელს გადასცემენ ინდივიდუალურ ნამუშევრებს.

აქტივობა 3.

ინტერაქტიული პრეზენტაცია
დრო: 15 წთ.

*პოლიციელი ატარებს **ინტერაქტიულ მინიპრეზენტაციას** (ყვება საკითხის შესახებ და, ამავე დროს, აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, დაუსვან კითხვები და მიიღონ პასუხები) და მოსწავლეებს განუმარტავს, თუ რა საფრთხეებს უქმნის კიბერდანაშაული ადამიანს, რისთვის სჭირდება დამნაშავეს სხვა ადამიანის პერსონალური მონაცემები და პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია და რა ხერხებით ხდება კიბერდანაშაულის ჩადენა. განიხილავს კონკრეტულ მაგალითებს.*

ამის შემდეგ საუბრობს საქართველოში გავრცელებული ისეთი კიბერდანაშაულების შესახებ, როგორებიცა: ფიშინგი, სქიმინგი, ვებგვერდებზე თავდასხმა.

აქტივობა 4.

მოსწავლეთა მიერ კიბერდანაშაულის ამოცნობა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგებზე ვარაუდების გამოთქმა.
დრო: 15 წთ.

მასწავლებელი მოსწავლეებს მცირე ჯგუფებში განსახილველად აძლევს რამდენიმე შემთხვევას (იხ. დანართი 2); გარდა ამისა, ურიგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებს, რომლებითაც რეგულირდება კიბერდანაშაული და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის დანაშაული და აძლევს შემდეგ დავალებას:

გაეცანით შემთხვევებს და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს. პასუხები გადაიტანეთ ცხრილში ***(დრო: 10 წუთი).***
კითხვები:

- თქვენ მიერ განხილულ შემთხვევაში კიბერდანაშაულია აღწერილი თუ კიბერმეთოდებით ჩადენილი დანაშაული?
- კონკრეტულად, რა დანაშაულია ჩადენილი?
- რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მსხვერპლი?
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით/მუხლებით რეგულირდება ეს დანაშაული?

ცხრილი 1

შემთხვევის N	**დანაშაულის ტიპი** (კიბერდანაშაული თუ კიბერმეთოდებით ჩადენილი დანაშაული?)	**დანაშაულის ჩადენის მეთოდი**	**საფრთხე, რომელიც იქმნება მსხვერპლისათვის**	**სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი**

შემთხვევების განხილვის შემდეგ თითოეულ ჯგუფს ევალება, მოკლედ წარმოადგინოს თავისი მოსაზრება შევსებული ცხრილის დახმარებით. მასწავლებელს მათი პასუხები თვალსაჩინოებისათვის გადააქვს დაფაზე ან ფლიპჩარტზე წინასწარ მომზადებულ იმავე სახის ცხრილში ***(დრო: 5 წუთი).***

აქტივობა 5.

მოსწავლეთა ინფორმირება კიბერდანაშაულის გამოძიებაში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების შესახებ.
დრო: 15 წთ.

*მე-4 აქტივობის დასრულების შემდეგ პოლიციელი შეაჯამებს მოსწავლეთა მსჯელობას სამართლებრივად, მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომების შემთხვევაში განმარტავს სწორ პასუხებს (იხ. დანართი 2), შემდეგ კი ატარებს **ინტერაქტიულ მინიპრეზენტაციას** იმ სახელმწიფო უწყებებისა და მათი ფუნქციების შესახებ, რომლებიც კიბერდანაშაულის გამოძიების პროცესში არიან ჩართულნი; ასევე, საუბრობს კიბერდანაშაულის მსხვერპლთა დახმარების მექანიზმების შესახებ (იხ. მოსწავლის წიგნი, გვ. 27).*

აქტივობა 6.

მოსწავლეთა თვითშეფასება.
დრო: 5 წთ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კვლავ შეავსონ ინდივიდუალურად გრაფიკული ორგანიზატორი, რომელზეც გაკვეთილის დასაწყისში იმუშავეს.

შევსებულ გრაფიკულ ორგანიზატორებს მოსწავლეები გადასცემენ მასწავლებელს.

გაკვეთილის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აკეთებს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილის დასაწყისში და გაკვეთილის ბოლოს შევსებული გრაფიკული ორგანიზატორების შედარებით ანალიზს. კერძოდ:

1. *თითოეული მოსწავლის ნამუშევარს აფასებს შემდეგი რუბრიკის მიხედვით:*

კრიტერიუმი	**დამწყები** **1 ქულა**	**განვითარებადი** **2 ქულა**	**კვალიფიციური** **3 ქულა**	**ექსპერტი** **4 ქულა**
საქართველოში გავრცელებული კიბერდანაშაული	მოსწავლე არ არის ინფორმირებული კიბერდანაშაულის შესახებ - მის მიერ გრაფიკულ ორგანიზატორში შეტანილი	მოსწავლე ნაწილობრივ ინფორმირებულია კიბერდანაშაულის შესახებ - ასახელებს ერთი სახის კიბერდანაშაულს ან ასახელებს ორი სახის	მოსწავლე უმეტესწილად ინფორმირებულია კიბერდანაშაულის შესახებ - ასახელებს ორი სახის კიბერდანაშაულს, რომელთაგან ორივე	მოსწავლე სრულადაა ინფორმირებული გავრცელებული კიბერდანაშაულის შესახებ - ასახელებს სამი და მეტი სახის კიბერდანაშაულს, რომელთაგან ყველა

	ინფორმაცია არასწორია.	კიბერდანაშაულს, თუმცა ორივე სახის დანაშაული, რეალურად, ერთსა და იმავეს აღნიშნავს.	ნამდვილად განსხვავებულ დანაშაულზე მიუთითებს.	ნამდვილად განსხვავებულ დანაშაულზე მიუთითებს.
კიბერდანაშაულით გამოწვეული საფრთხეები	მოსწავლე არ არის ინფორმირებული კიბერდანაშაულით გამოწვეული საფრთხეების შესახებ - მის მიერ გრაფიკულ ორგანიზატორში შეტანილი ინფორმაცია არასწორია.	მოსწავლე ნაწილობრივ ინფორმირებულია კიბერდანაშაულით გამოწვეული საფრთხეების შესახებ - ასახელებს მხოლოდ ერთ საფრთხეს.	მოსწავლე უმეტესწილად ინფორმირებულია კიბერდანაშაულით გამოწვეული საფრთხეების შესახებ - ასახელებს ორ საფრთხეს.	მოსწავლე სრულადაა ინფორმირებული გამოწვეული საფრთხეების შესახებ - ასახელებს სამ და მეტ საფრთხეს.
კიბერდანაშაულის თავიდან არიდების გზები	მოსწავლე არ არის ინფორმირებული კიბერდანაშაულის თავიდან არიდების გზების შესახებ - მის მიერ გრაფიკულ ორგანიზატორში შეტანილი ინფორმაცია არასწორია.	მოსწავლე ნაწილობრივ ინფორმირებულია კიბერდანაშაულის თავიდან არიდების გზების შესახებ - ასახელებს მხოლოდ ერთ გზას.	მოსწავლე უმეტესწილად ინფორმირებულია კიბერდანაშაულის თავიდან არიდების გზების შესახებ - ასახელებს ორ გზას.	მოსწავლე სრულადაა ინფორმირებული კიბერდანაშაულის თავიდან არიდების გზების შესახებ - ასახელებს სამ და მეტ გზას.

2. გამოითვლის მოსწავლეთა მიერ **გაკვეთილის დასაწყისში** და **გაკვეთილის დასრულების შემდეგ** შევსებულ გრაფიკულ ორგანიზატორში შეფასების საშუალო ქულას და ამ ორ მონაცემს ადარებს ერთმანეთს.

   მიღებული სხვაობის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, გაიზარდა თუ არა (და რამდენი ქულით) მოსწავლეთა ინფორმირებულობისა და საკითხის გაგება-გააზრების ხარისხი გაკვეთილის შემდეგ.

   მაგალითად: თუ 20 მოსწავლის მიერ გაკვეთილის დაწყებამდე შევსებულ გრაფიკულ ორგანიზატორში მიღებული საშუალო ქულა არის 130, ხოლო გაკვეთილის დასრულების შემდეგ შევსებულ გრაფიკულ ორგანიზატორში - 175, მასწავლებელს შეუძლია გააკეთოს დასკვნა, რომ მოსწავლეთა მიერ საკითხის გაგება-გააზრების მაჩვენებელი გაიზარდა 45 ქულით.

3. მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების საფუძველზე მასწავლებელი გეგმავს მომდევნო გაკვეთილს. კერძოდ, აკეთებს დამატებით განმარტებებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი აღმოჩნდნენ მოსწავლეები.

აქტივობა 7.

საშინაო დავალება
დრო: 5 წთ.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:
გააგრძელეთ ფიქრი კიბერდანაშაულის თემაზე, შეეცადეთ, გონებაში შეაჯამოთ განხილული საკითხები და შეასრულეთ საშინაო დავალებები.

ქვემოთ მოცემულია სამი დავალება:

პირველი დავალება კითხვებზე პასუხს უკავშირდება და მისი შესრულება ყველა მოსწავლეს ევალება.

მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემა დაგეხმარებათ დარწმუნდეთ, რამდენად კარგად გაიაზრეთ განხილული საკითხები. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კითხვას პასუხი ვერ გაეცით, განმარტებებისათვის მიმართეთ მასწავლებელს მომდევნო გაკვეთილზე.

დავალება 1. უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ არის მნიშვნელოვანი უსაფრთხოებაზე ზრუნვა ინტერნეტის გამოყენებისას?
- რა გზებით არის შესაძლებელი კიბერდანაშაულისაგან თავის დაცვა? დაფიქრდი, როგორ უკავშირდება ეს შენს კომპიუტერს, ტელეფონს ან ინტერნეტქსელში ჩართულ სხვა ელექტრონულ მოწყობილობას?
- რატომ არის მნიშვნელოვანი დაცული პაროლის გამოყენება ვებგვერდებზე რეგისტრაციისას?
- რისი გაკეთება შეგიძლია შენს სკოლაში იმისათვის, რომ აამაღლო თანატოლების ცნობიერება კიბერდანაშაულისაგან თავის დაცვის შესახებ?

კითხვებზე პასუხის შეფასების რუბრიკა

დამწყები **1 ქულა**	**განვითარებადი** **2 ქულა**	**კვალიფიციური** **3 ქულა**	**ექსპერტი** **4 ქულა**
მოსწავლე ადეკვატურ პასუხს სცემს ერთ კითხვას.	მოსწავლე ადეკვატურ პასუხს სცემს ორ კითხვას.	მოსწავლე ადეკვატურ პასუხს სცემს სამ კითხვას.	მოსწავლე ადეკვატურ პასუხს სცემს ოთხივე კითხვას.

მომდევნო ორი დავალებიდან შეგიძლიათ ამოირჩიოთ ერთ-ერთი და შეასრულოთ დამოუკიდებლად.

დავალება 2. ორმაგი ჩანაწერების დღიური *(იხ. დანართი 3)*

დახაზეთ ორსვეტიანი ცხრილი, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ. ცხრილის პირველ სვეტში ჩაწერეთ ფაქტები, ტერმინები, განმარტებები ან ნაწყვეტები შესასწავლი მასალიდან, მეორე სვეტში კი ჩამოაყალიბეთ ამ ფაქტის/ტერმინის/განმარტების/ნაწყვეტის შესახებ თქვენი პირადი დამოკიდებულები, შეხედულებები, მოსაზრებები ან კითხვები.

ცხრილის მარცხენა სვეტში ჩაწერეთ ერთი ან ორი ფაქტი, ტერმინი, განმარტება, რომლებმაც თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. მარჯვენა სვეტში კი - მათთან დაკავშირებით თქვენი კითხვები, მოსაზრებები, დამოკიდებულებები, ემოციები. მოსაზრებების არგუმენტირებისათვის შეგიძლიათ მოიყვანოთ ცხოვრებისეული მაგალითებიც.

სახელი, გვარი:
თარიღი:

ფაქტი/ტერმინი/განმარტება/ნაწყვეტი	ჩემი დამოკიდებულება/შეხედულება /მოსაზრება/კითხვა

ორმაგი ჩანაწერების დღიურის შეფასების რუბრიკა

დამწყები 1 ქულა	განვითარებადი 2 ქულა	კვალიფიციური 3 ქულა	ექსპერტი 4 ქულა
მოსწავლეს ასახელებს მხოლოდ ერთ ფაქტს/ტერმინს/განმარ-ტებას/ნაწყვეტს განხილული მასალიდან	მოსწავლე ასახელებს მინიმუმ ორ ფაქტს/ტერმინს/განმარ-ტებას/ნაწყვეტს განხილული მასალიდან, თუმცა არ მიუთითებს	მოსწავლე ასახელებს მინიმუმ ორ ფაქტს/ტერმინს/განმარ-ტებას/ნაწყვეტს განხილული მასალიდან და ორივე მათგანთან	მოსწავლე ასახელებს ორ და მეტ ფაქტს/ტერმინს/განმარ-ტებას/ნაწყვეტს განხილული მასალიდან და ორივე მათგანთან

	საკუთარ დამოკიდებულებაზე/შეხ ედულებაზე/მოსაზრება ზე და არც კითხვას სვამს; ან მოსწავლე ასახელებს მხოლოდ ერთ ფაქტს/ტერმინს/განმარ-ტებას/ნაწყვეტს განხილული მასალიდან და მიუთითებს საკუთარ დამოკიდებულებაზე/შე-ხედულებაზე/მოსაზრება ზე ან სვამს რაიმე კითხვას, თუმცა მსჯელობა ბუნდოვანი და ნაკლებად ლოგიკურია.	დაკავშირებით მიუთითებს საკუთარ დამოკიდებულებაზე/ შეხედულებაზე/მოსა-ზრებაზე ან სვამს რაიმე კითხვას. მსჯელობა ნაწილობრივ გამართული და ლოგიკურია.	დაკავშირებით მიუთითებს საკუთარ დამოკიდებულებაზე/შე-ხედულებაზე/მოსაზრება ზე ან სვამს რაიმე კითხვას. მსჯელობა მთლიანად გამართული და ლოგიკურია.

დავალება 3. ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება *(იხ. დანართი 4)*

დაწერეთ 2 ჭეშმარიტი და 1 მცდარი დებულება კიბერდანაშაულის შესახებ.

ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულების შეფასების რუბრიკა

დამწყები **1 ქულა**	**განვითარებადი** **2 ქულა**	**კვალიფიციური** **3 ქულა**	**ექსპერტი** **4 ქულა**
მოსწავლეს დასახელებული აქვს მხოლოდ ერთი დებულება, რომელიც ნაწილობრივ აკმაყოფილებს დავალების პირობას.	მოსწავლეს დასახელებული აქვს ორი დებულება და ორივე ან მხოლოდ ერთი აკმაყოფილებს დავალების პირობას.	მოსწავლეს დასახელებული აქვს სამი დებულება, თუმცა, მხოლოდ ორი აკმაყოფილებს დავალების პირობას.	მოსწავლეს დასახელებული აქვს სამი დებულება და სამივე აკმაყოფილებს დავალების პირობას.

მოსწავლეთა საშინაო დავალებების შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, მასწავლებელი გეგმავს მომდევნო გაკვეთილს. კერძოდ, აკეთებს დამატებით განმარტებებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ყველაზე ნაკლები წარმატებით გაართვეს თავი.

დანართები

დანართი 1.



დანართი 2.

შემთხვევა N1

გიორგი, რომელიც ბავშვობიდან დაინტერესებული იყო კომპიუტერული ტექნოლოგიებით, ინტერნეტ-სივრცეში ხშირად ეძებდა სიახლეებსა და სხვადასხვა სახის ინფორმაციას კომპიუტერული ტექნოლოგიების სტრუქტურისა და მოწყობის შესახებ. ეტაპობრივად მან დამოუკიდებლად შეძლო ვებგვერდის შექმნა, რის შემდეგაც დაინტერესდა, რამდენად დაცული იყო მისი გვერდი ჰაკერული თავდასხმისაგან. ამ მიზნით მან დაიწყო ინფორმაციის მოძიება, თუ როგორ, რა ხერხებით მუშაობენ ჰაკერები. ამ ინფორმაციის მოძიების შემდეგ გიორგიმ ახლად ნასწავლი ჰაკერული ტექნიკის გამოყენება რეალურ ვებგვერდზე სცადა - თანმიმდევრობით შეასრულა ის მოქმედებები, რომლებსაც ჰაკერები აკეთებენ, რათა დარწმუნებულიყო, რამდენად რეალური იყო ეს ტექნიკა და რამდენად კარგად გამოუვიდოდა თავად მას იმავეს გაკეთება.

აღმოჩნდა, რომ მან მართლაც შეძლო ერთ-ერთ ვებგვერდზე უნებართვო შესვლა. ამ ქმედების შედეგად გვერდზე არსებული ინფორმაცია წაშალა და გვერდის ადმინისტრატორებმა დაკარგეს მასზე წვდომა. დაზარალებულმა კომპანიამ დახმარებისათვის მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

კიბერშეტევის ამსახველი ინფორმაციის გაანალიზებით დადგინდა დანაშაულის ჩამდენი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი მიზანი იყო მხოლოდ საკუთარი ძალების გამოცდა და სხვა რაიმე ზიანის მიყენების განზრახვა არ ჰქონდა და არც ის იცოდა, რომ აღნიშნული ქმედებით დანაშაულს სჩადიოდა.

შემთხვევაში აღწერილი დანაშაულის კვალიფიკაცია:

საქ. სსკ-ის 284-ე მუხლი (ვებგვერდზე უნებართვო შეღწევა) და 286-ე მუხლი (კომპიუტერული მონაცემების წაშლა).

შემთხვევა N2

17 წლის გოგამ შექმნა facebook-ის ყალბი გვერდი, რომლის მისამართიც გაუგზავნა თავისივე თანასკოლელს, 16 წლის თამთას. თამთამ მიიღო გოგასგან გამოგზავნილი მისამართი, გადავიდა მასზე და გაიარა ავტორიზაცია (მიუთითა მომხმარებლის სახელი და პაროლი), რის შედეგადაც გოგა დაეუფლა თამთას facebook-ის ავტორიზაციის პარამეტრებს, შემდეგ თამთასგან მალულად შეაღწია მის გვერდზე და წაიკითხა ყველა პირადი მიმოწერა, რომლებიც არა მხოლოდ თამთას, არამედ მისი მეგობრების შესახებ პირად ინფორმაციას შეიცავდა. მიმოწერები გოგამ ფოტოების სახით შეინახა.

აღნიშნულის შემდეგ გოგამ თამთას გაუგზავნა მიმოწერის ამსახველი ფოტოები და შეტყობინება, რომლითაც თამთას სთხოვდა, გაეგზავნა თავისი შიშველი ფოტოები; წინააღმდეგ შემთხვევაში, მის პირად მიმოწერებს გაასაჯაროებდა.

შემთხვევაში აღწერილი დანაშაულის კვალიფიკაცია:

აღნიშნული დანაშაული თავის თავში რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულს მოიცავს, თუმცა, ვინაიდან ჩვენთვის ამ ეტაპზე საინტერესოა კიბერდანაშაული, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა ყურადღება გავამახვილოთ გოგას მიერ ფიშინგის გზით თამთას ფეისბუქის გვერდზე უნებართვო შეღწევაზე. მოსწავლეებს უნდა განემარტოთ, რომ ეს ქმედება კვალიფიცირდება სსსკ-ის 284-ე მუხლის მიხედვით.

შემთხვევა N3

ლაშამ, რომელიც შეყვარებული იყო თამუნაზე, გადაწყვიტა, გოგონას ნებართვის გარეშე შესულიყო სოციალურ ქსელ facebook-ის თამუნას გვერდზე იქ არსებული მომოწერის სანახავად, რისთვისაც უნდა მოეპოვებინა მომხმარებლის სახელი და პაროლი. ირაკლიმ მიზნის მისაღწევად თავის პერსონალურ **კომპიუტერში ჩაწერა სპეციალური პროგრამა, რომელიც იმახსოვრებდა კლავიატურაზე აკრეფილ ინფორმაციას.**

ერთხელაც, ლაშას სახლში სტუმრად ყოფნის დროს, თამუნამ ლაშას კომპიუტერით გახსნა facebook-ის საკუთარი გვერდი, რისთვისაც, რა თქმა უნდა, ავტორიზაციის გვერდზე მიუთითა შესაბამისი მომხმარებლის სახელი და პაროლი.

მოგვიანებით ლაშასთვის, კომპიუტერში ჩაწერილი სპეციალური პროგრამის დახმარებით, ხელმისაწვდომი გახდა თამუნას პირადი გვერდის ავტორიზაციის სახელი და პაროლი. სხვა სიტყვებით, მან შეძლო მომხმარებლის სახელისა და პაროლის მოპოვება. ამის შემდეგ ლაშა ნებართვის გარეშე შევიდა შეყვარებულის პირად გვერდზე, სადაც ნახა თამუნას მიმოწერა, თუმცა არ იცოდა, რომ მას გააქტიურებული ჰქონდა უსაფრთხოების პარამეტრები. თამუნამ საკუთარ მობილურ ტელეფონზე მიიღო ინფორმაცია თავის გვერდზე შესვლის შესახებ.

თამუნამ დახმარებისათვის მიმართა შსს სამინისტროს. გამოძიებით დადგინდა, თუ საიდან, როდის და ვინ შევიდა გვერდზე. ლაშას განმარტებით, მან არ იცოდა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება დანაშაული იყო. საკუთარი ქცევის მიზეზად კი ეჭვიანობა დაასახელა.

შემთხვევაში აღწერილი დანაშაულის კვალიფიკაცია:

ზოგადად, 285-ე მუხლით ჩადენილი დანაშაული რთული შემადგენლობისაა, რადგან მოიცავს რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებას ერთობლიობაში. ეს კი ზოგჯერ დამაბნეველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მესამე მაგალითიც რთული შემადგენლობისაა. ვინაიდან ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა კიბერდანაშაული, მოსწავლეთა ყურადღება გავამახვილოთ საქ. სსკ-ის 285-ე მუხლზე - კომპიუტერული პროგრამის ან/და სხვა მოწყობილობის, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის საჭირო პაროლის, დაშვების კოდის ან სხვა მსგავსი მონაცემის უნებართვო დამზადება, შენახვა, გაყიდვა, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა.

დამატებითი განმარტება მესამე მაგალითის სიღრმისეული განხილვის საჭიროების შემთხვევაში:

თუ უფრო დეტალურად განვიხილავთ ამ მაგალითს, შემდეგი განმარტება შეიძლება გაკეთდეს:

285-ე მუხლს აქვს 2 შემადგენელი ნაწილი. 285-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში განხორციელებული უნდა იყოს ორივე მათგანით გათვალისწინებულ ქმედება. კერძოდ:

(1) კომპიუტერული პროგრამის ან/და სხვა მოწყობილობის, აგრეთვე **კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის საჭირო პაროლის**, დაშვების კოდის ან სხვა მსგავსი მონაცემის უნებართვო დამზადება, **შენახვა,** გაყიდვა, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა **(2) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავითა და ამავე კოდექსის 158-ე ან 159-ე მუხლით** გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით.

შენიშვნა: *მუქი ასოებით აღნიშნულია მაგალითში მოცემული ქმედების ზუსტი კვალიფიკაცია.*

მაგალითში წარმოდგენილი ქმედებების ახსნა:

ლაშას მიერ კომპიუტერში სპეციალური პროგრამის ჩაწერის მიზანი იყო თამუნას სოციალურ ქსელ facebook-ის პაროლის მოპოვება, რომელიც პროგრამამ შეინახა კომპიუტერულ სისტემაში. აღნიშნულის შემდეგ ლაშამ შეაღწია თამუნას სოციალური ქსელის გვერდზე და ნახა იქ არსებული მიმოწერა.

1) ლაშას მიერ კომპიუტერში არსებული პროგრამის ჩაწერა პაროლის მოპოვების მიზნით არის - **კომპიუტერული პროგრამა.**
2) ლაშამ პროგრამის საშუალებით მოიპოვა თამუნას პაროლი, რომელიც ინახებოდა კომპიუტერში, ვინაიდან კომპიუტერშივეა პროგრამაც ჩაწერილი **- კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის საჭირო პაროლის უნებართვო შენახვა.**
3) ლაშას მიერ თამუნას გვერდზე შესვლა არის უნებართვო შეღწევა - **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავი - ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა უნებართვო შეღწევა.**
4) ლაშას მიერ თამუნას მიმოწერის ნახვა **- 158-ე მუხლი, კერძოდ, კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლაშას ჩადენილი აქვს დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით:

1) 284 - კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა.
2) 285 - კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება.
3) 158 - კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა.

შემთხვევა N4

დამნაშავეების ჯგუფმა, რომელსაც სურდა დანაშაული ისე ჩაედინა, რომ თავად არავის მოხვედროდნენ თვალში, ამისთვის არასრულწლოვნების გამოყენება გადაწყვიტა. ამ მიზნით ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, 36 წლის ლია, სოციალურ ქსელში დარეგისტრირდა 19 წლის ოთოს სახელით, შექმნილ გვერდზე განათავსა უცხოელი თინეიჯერის პირადი გვერდიდან ჩამოტვირთული ფოტოები და იმავე სოციალური ქსელის საშუალებით 14 წლის ნუცას დაუკავშირდა გაცნობის მიზნით. ნუცა დაეთანხმა მის თხოვნას ვირტუალურ სივრცეში მეგობრობის შესახებ.

„ოთო“ თითქმის ყოველდღე ეხმიანებოდა ნუცას, ეკითხებოდა, როგორ ჩაიარა სკოლაში დღემ, როგორ გაერთო მეგობრებთან ერთად, რა ფილმის ყურებას აპირებდა და სხვა მსგავსი თემების შესახებ ესაუბრებოდა. თანდათან, „ოთომ“ ნუცასთან პირად მიმოწერაში საკმაოდ „გულახდილი“ საუბარი დაიწყო საკუთარ ცხოვრებაზე, პრობლემებზე, სამომავლო გეგმებზე, რითაც ნუცას ნდობა დაიმსახურა და მასაც გაუჩინა გულის გადაშლის სურვილი. მალე „ოთომ“ საკმაოდ ბევრი ინფორმაცია შეიტყო ნუცას პირადი ცხოვრების, მისი სუსტი მხარეებისა და მის ოჯახში არსებული პრობლემების შესახებ.

ერთ დღესაც ნუცამ „ოთოსგან“ მოულოდნელად სრულიად განსხვავებული შინაარსის წერილი მიიღო. წერილით „ოთო“ მისგან მოითხოვდა ისეთი ქმედების შესრულებას, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. „ოთო“ ნუცას ემუქრებოდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნუცა მოთხოვნის შესრულებაზე უარს იტყოდა, იგი მათ მიმოწერას ნუცას ყველა მეგობარს გაუზიარებდა, რითაც ყველასთვის ცნობილი გახდებოდა ნუცას პირადი და ოჯახური ცხოვრების დეტალები. თავზარდაცემულმა ნუცამ გადაწყვიტა მოთხოვნის შესრულება. თუმცა, სიტუაცია სულ უფრო და უფრო გართულდა, რადგან „ოთო“ მას ახალ-ახალ დავალებებს აძლევდა, რომელთაგან ზოგიერთი შედარებით უწყინარი, ზოგიერთი კი საფრთხისა და დანაშაულის ნიშნების შემცველი იყო.

გარკვეული დროის შემდეგ ნუცამ „ოთოს“ მისწერა, რომ მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, გასაჯაროვდებოდა თუ არა მათი მიმოწერა და ამიტომ აღარ აპირებდა მისი მოთხოვნების შესრულებას.

დამნაშავეთა ჯგუფმა გადაწყვიტა, ნუცა კიდევ უფრო დაეშინებინა და მას „ოთოს“ სახელით კვლავ გაუგზავნა წერილი, რომლითაც ნუცას ოჯახის წევრებისათვის ზიანის მიყენებით დაემუქრნენ. სინამდვილეში ისინი ამის გაკეთებას არ აპირებდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ მსგავსი რამ სერიოზული დანაშაულია და ციხეში აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ მათმა მუქარამ ნუცაზე გავლენა იქონია - იგი, მიცემული დავალებების უსიტყვოდ შესრულების გარდა, სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავდა, რადგან არ უნდოდა, თავისი შეცდომის გამო ოჯახის წევრებისათვის საფრთხე შეექმნა.

ნუცას პოლიციისათვის არ მიუმართავს, რადგან „ოთო“ მისი ოჯახის წევრებისათვის კიდევ უფრო დიდი ზიანის მიყენებით დაემუქრა, თუ ნუცა პოლიციას მიმართავდა.

შემთხვევაში აღწერილი დანაშაულის კვალიფიკაცია:

საქ. სსკ-ის 150-ე მუხლი. იძულება - დანაშაულის ჩადენის მეთოდად გამოყენებულია კიბერმეთოდები, ანუ ინტერნეტი, როგორც კომუნიკაციის საშუალება.

კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ სფეროს/როგორ ისჯება კიბერდამნაშავე

კიბერდანაშაულს დათმობილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავი, რომელიც მოიცავს 284-ე, 285-ე და 286-ე მუხლებს:

თავი XXXV

კიბერდანაშაული

მუხლი 284. კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა

1. კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის;

დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა:

1. კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).

2. კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.

3. უნებართვო გულისხმობს უკანონოს, აგრეთვე იმ შემთხვევას, როდესაც უფლების მფლობელს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუცია უფლება ქმედების ჩამდენი პირისათვის.

4. ამ თავში მნიშვნელოვნად ითვლება 2000 ლარზე მეტი ოდენობის ზიანი.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

მუხლი 285. კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება

1. კომპიუტერული პროგრამის ან/და სხვა მოწყობილობის, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის საჭირო პაროლის, დაშვების კოდის ან სხვა მსგავსი მონაცემის უნებართვო დამზადება, შენახვა, გაყიდვა, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა ამ თავითა და ამ კოდექსის 158-ე ან 159-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის;

დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

მუხლი 286. კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა

1. კომპიუტერული მონაცემის უნებართვო დაზიანება, წაშლა, შეცვლა ან დაფარვა, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, აგრეთვე კომპიუტერული მონაცემის უნებართვო ჩასმა ან გადაცემა, რამაც კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების განზრახ მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის;

დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

გარდა ამისა, ყურადღება შეიძლება გამახვილდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე, 157-ე და 158-ე მუხლებზეც, ვინაიდან ეს მუხლები ზოგჯერ კავშირშია კიბერდანაშაულთან ან კიბერ-მეთოდებით ჩადენილ დანაშაულთან.

მუხლი 150. იძულება

1. ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

[1. ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება ან რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) ჯგუფურად;

გ) არაერთგზის, – ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით თვრამეტ თვემდე.

მუხლი 157. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა

1. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამოყენება ან/და გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების, ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ანგარებით;

ბ) არაერთგზის, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

[3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ანგარებით;

ბ) არაერთგზის, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან)]

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ევალებოდა ამ ინფორმაციის ან მონაცემების დაცვა ან რომელმაც აღნიშნული ქმედება ჩაიდინა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (მოპოვება, შენახვა) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელმაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოპოვებული/შენახული ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოებს გადასცა და ჩადენილი/მოსალოდნელი სხვა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაცია ამ გზით მიაწოდა.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

მუხლი 158. კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა

1. კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორიდან ოთხ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

[1. კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

2. კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან).

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ანგარებით;

ბ) არაერთგზის, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

ბ) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა:

1. ამ მუხლის მიზნებისათვის „კომპიუტერული მონაცემი“, „კომპიუტერული სისტემა“ და „უნებართვო“ განიმარტება ამ კოდექსის XXXV თავით გათვალისწინებული განმარტებების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელმაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოპოვებული/შენახული ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოებს გადასცა და ჩადენილი/მოსალოდნელი სხვა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაცია ამ გზით მიაწოდა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

ორმაგი ჩანაწერების დღიური

ინსტრუმენტის აღწერა და მიზანი

ორმაგი ჩანაწერების დღიური არის სამუშაო, რომელსაც მოსწავლეები ასრულებენ წერილობით. იგი გულისხმობს ერთგვარ რეფლექსიას სასწავლო მასალაზე.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაკეცონ ფურცელი ორად ან დახაზონ ორსვეტიანი ცხრილი (როგორც ეს მაგალითშია), შემდეგ ფურცლის ერთ მხარეს/ცხრილის პირველ სვეტში ჩაწერონ ფაქტები, ტერმინები, განმარტებები ან ნაწყვეტები შესასწავლი მასალიდან, მეორე მხარეს/მეორე სვეტში კი ჩამოაყალიბონ ამ ფაქტის/ტერმინის/განმარტების/ნაწყვეტის შესახებ თავიანთი პირადი დამოკიდებულები, შეხედულებები, მოსაზრებები ან კითხვები.

ქვემოთ მოცემულია ორმაგი ჩანაწერების დღიურის შაბლონი:

თარიღი:

ფაქტი/ტერმინი/განმარტება/ნაწყვეტი	ჩემი დამოკიდებულება/შეხედულება /მოსაზრება/კითხვა

ეს ინსტრუმენტი მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, ყურადღებით გაეცნონ შესასწავლ მასალას და გააკეთონ რეფლექსია - გამოკვეთონ მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხები, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და ამ გზით უფრო აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში.

მასწავლებელს კი შესაძლებლობა ეძლევა შეაფასოს, თუ რამდენად კარგად გაიაზრეს მოსწავლეებმა

შესასწავლი მასალა, გაამახვილეს თუ არა ყურადღება მთავარ და მნიშვნელოვან საკითხებზე, შეძლეს თუ არა განხილული მასალის შესახებ მსჯელობა, ასევე, რა დარჩათ გაუგებარი და, პირიქით, რა გაიგეს კარგად.

როდის გამოვიყენოთ?

ორმაგი ჩანაწერების დღიურის შევსება მიზანშეწონილია ახალი მასალის გაცნობის პროცესში. ეს შეიძლება იყოს უცხო ტექსტი ინგლისურ ენაში, ახალი მასალა ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში ან, თუნდაც, ამოცანები მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში.

როგორ გამოვიყენოთ?

აუცილებელია, რომ მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს ორმაგი ჩანაწერების დღიურის შესავსებად საჭირო დრო (10-დან 15 წუთამდე) და შესაბამისად დაგეგმოს გაკვეთილი. მან დეტალურად უნდა გააცნოს მოსწავლეებს ინსტრუქცია და საჭირო მინიშნებები მისცეს იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულად რაზე სურს მათი ყურადღების გამახვილება.

მეტი კონკრეტულობისათვის გთავაზობთ მაგალითს:

ინსტრუქცია ორმაგი ჩანაწერების დღიურისათვის: ,,ყურადღებით გაეცანით თქვენთვის დარიგებულ მასალას და შეავსეთ ორმაგი ჩანაწერების დღიური. ცხრილის მარცხენა სვეტში ჩაწერეთ ერთი ან ორი ფაქტი, ტერმინი, განმარტება, რომლებმაც თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. მარჯვენა სვეტში კი - მათთან დაკავშირებით თქვენი კითხვები, მოსაზრებები, დამოკიდებულებები, ემოციები. მოსაზრებების არგუმენტირებისათვის შეგიძლიათ მოიყვანოთ ცხოვრებისეული მაგალითებიც.

სამუშაოს დასრულების შემდეგ შესაძლებლობა გექნებათ, გაუზიაროთ თქვენი შეხედულებები მეწყვილეს, ხოლო რამდენიმე თქვენგანი (შემთხვევითი შერჩევით) შეძლებს, მთელ კლასს გააცნოს მათ მიერ შევსებული ორმაგი ჩანაწერების დღიური და მიიღოს უკუკავშირი.

VIII კლასის მოსწავლის მიერ შევსებული ორმაგი ჩანაწერების დღიურის ნიმუში:

საგანი: *ბიოლოგია;*
თემა: *გენეტიკა და სელექცია.*

ფაქტი/ტერმინი/განმარტება/ნაწყვეტი	ჩემი დამოკიდებულება/შეხედულება /მოსაზრება/კითხვა
პროგერია	ეს არის ძალიან იშვიათი გენეტიკური დაავადება. მას შემდეგ, რაც ამ დაავადების შესახებ გავიგე, სულ ვფიქრობ ადამიანებზე, რომელთაც ეს დაავადება აქვთ და ძალიან განვიცდი. **ვაპირებ, რომ** კიდევ უფრო მეტი წავიკითხო პროგერიის შესახებ და გავიგო, მკურნალობის რა

	მეთოდები არსებობს.
თუ დედა არის 35-40 წლის ასაკზე მეტის, ალბათობა იმისა, რომ მას შეეძინოს დაუნის სინდრომით დაავადებული შვილი, 10-20-ჯერ მეტია.	დაუნის სინდრომის შესახებ საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მქონდა და ვიცოდი, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის დაბადება არაა დამოკიდებული მშობლების ეროვნებაზე ან სოციალურ სტატუსზე, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ არსებობს კორელაცია დედის ასაკსა და დაუნის სინდრომს შორის. **აქედან გამომდინარე, გამიჩნდა კითხვა:** ნიშნავს ეს იმას, რომ ქალმა თავიდან უნდა აირიდოს ორსულობა 35-40 წლის ასაკში?

XI კლასის მოსწავლის მიერ შევსებული ორმაგი ჩანაწერების დღიურის ნიმუში:

საგანი: *მათემატიკა, XI კლასი*

თემა: *რიცხვები და მათთან დაკავშირებული ალგორითმები.*

ფაქტი/ტერმინი/განმარტება/ნაწყვეტი	ჩემი დამოკიდებულება/შეხედულება /მოსაზრება/კითხვა
მარტივი რიცხვი	მარტივი რიცხვის ცნება თავისთავად ძალიან ადვილი აღსაქმელია, თუმცა, **აღმოვაჩინე, რომ** მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მათემატიკაში. უამრავი მათემატიკური შინაარსის მასალაა მარტივი რიცხვების კვლევის შესახებ. რაც მთავარია, მარტივ რიცხვებს უდიდესი გამოყენება აქვს პრაქტიკაში. **მინდა, რომ** მეტი გავიგო მარტივი რიცხვების შესახებ. განსაკუთრებით დამაინტერესა მათმა პრაქტიკულმა გამოყენებამ კრიპტოგრაფიასა და ტექნოლოგიებში.

ვიდეომასალა	არსებობს უამრავი მათემატიკური შინაარსის ვიდეომასალა. **აღმოვაჩინე, რომ** მათი გამოყენება ძალიან აადვილებს სხვადასხვა საკითხის შესწავლას. განსაკუთრებით დამაინტერესა ალბათობასთან დაკავშირებულმა მასალამ. **გამიჩნდა კითხვა:** რამდენად რთულია, რომ მე თვითონ შევქმნა მათემატიკური შინაარსის ვიდეომასალა და მისი შექმნის პროცესში უკეთ გავიაზრებ თუ არა იმ საკითხს, რომელზეც ეს მასალა იქნება?

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ორმაგი ჩანაწერების დღიური საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ჩაუღრმავდეს შესასწავლ მასალას და კარგად გააცნობიეროს საკუთარი დამოკიდებულებები ამ მასალის მიმართ. ამგვარი რეფლექსია აძლიერებს მოსწავლის მოტივაციას, გააგრძელოს მასალის შესწავლა და კიდევ უფრო მეტად ჩაერთოს სასწავლო პროცესში.

ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება

ინსტრუმენტის აღწერა და მიზანი

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება სასწავლო თემასთან დაკავშირებით. ეს დებულება შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე ფაქტს, მოვლენას, თეორიის შინაარსს, მათემატიკური ამოცანის ამონახსნს, პრობლემური საკითხის გადაჭრის გზას. ამის შემდეგ მოსწავლეები უზიარებენ დებულებებს თანაკლასელებს, რომლებსაც ევალებათ, ამოიცნონ მცდარი დებულება. მაგალითად, მეცხრეკლასელი მოსწავლის მიერ ქიმიაში მოფიქრებული შემდეგი სამი დებულებიდან პირველი და მესამე დებულებები ჭეშმარიტია, ხოლო მეორე - მცდარი:

1. უმჯობესია, გამოვიყენოთ ვერცხლის და არა ოქროს ჭურჭელი, რადგან ვერცხლი ხოცავს მავნე მიკრობებს, ოქრო კი - არა;
2. ყველა მეტალი რეაქციაში შედის მჟავებთან;
3. ყველა მეტალი დენის კარგი გამტარია, რადგან მათში თავისუფლად მოძრავი ელექტრონებია.

დებულებების მოფიქრების დროს მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოამჟღავნონ ცოდნა, მოიძიონ ინფორმაცია, ორიგინალური ფორმით წარმოადგინონ ფაქტები ან საკუთარი მოსაზრებები. ამავე დროს, ამ აქტივობას შემოაქვს ხალისი გაკვეთილზე და უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას. თავის მხრივ, მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, შეაფასოს მოსწავლეებში სასწავლო საკითხის ცოდნისა და გაგება-გააზრების დონე.

როდის გამოვიყენოთ?

ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულების გამოყენება შეიძლება ნებისმიერ დროს გაკვეთილის მიმდინარეობისას. ის შეიძლება ემსახურებოდეს როგორც მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურებას, ისე ნასწავლი მასალის გახსენებასა და მის სიღრმისეულად გაანალიზებას.

როგორ გამოვიყენოთ?

ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულების განხილვას გაკვეთილზე მასწავლებელმა შეიძლება სხვადასხვა დრო დაუთმოს. მოსწავლეებისათვის მიცემული ინსტრუქციებიც შეიძლება განსხვავებული იყოს. ეს დამოკიდებულია კონკრეტული გაკვეთილის მიზნებზე. კერძოდ, მასწავლებელს შეუძლია,

დააჯგუფოს მოსწავლეები მცირე ჯგუფებად და სთხოვოს მათ, დებულებები გაუზიარონ თავიანთი ჯგუფის წევრებს; სხვა შემთხვევაში მას შეიძლება ყველა მოსწავლეს სთხოვოს დებულებების მოფიქრება, ხოლო შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, რამდენიმე მოსწავლეს დაავალოს, დებულებები გაუზიარონ მთელ კლასს და ასევე შემთხვევით შერჩეულმა მოსწავლეებმა გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. ისიც შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, ვინ გააზიარებს დებულებებს და ვინ ამოიცნობს მცდარ დებულებას; გარდა ზეპირი მსჯელობისა, მოსწავლეებს შეუძლიათ, წერილობით სახით წარმოადგინონ მოფიქრებული ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება და წერილობითვე წარმოადგინონ ამ დებულებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები.

ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულების შესახებ ზეპირი მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააკეთოს მოკლე ჩანაწერები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სირთულის დებულებები მოიფიქრეს მოსწავლეებმა, რამდენად შეძლეს მათ ცოდნისა და მაღალი სააზროვნო უნარების გამომჟღავნება, რამდენმა მოსწავლემ ამოიცნო სწორად მცდარი დებულება, ყველა მოსწავლე აქტიურობდა თუ არა და სხვა. მოგვიანებით, ამ ჩანაწერების გაანალიზებით, მასწავლებელი შეძლებს როგორც მოსწავლეთა, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებას, რაც, რასაკვირველია, დაეხმარება მას მომდევნო გაკვეთილების ეფექტიანად დაგეგმვაში.